შესრულდა 262%-ით; **ხულოს** არქივში მიღებული იქნა 28 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 საქმისა და გეგმა შესრულდა 93%-ით;

ასევე მიღებული იქნა ფოტოდოკუმენტები: საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია სულ 782 ფოტოდოკუმენტი. აქედან საარქივო **სამმართველოში** მიღებულია 750 ფოტოდოკუმენტი, ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში, სულ მიღებულია 32 ფოტოდოკუმენტი. აქედან **ქობულეთის** არქივში მიღებულია 30 ფოტოდოკუმენტი, **შუახევის არქივში** 2 ფოტოდოკუმენტი. **ხელვაჩაურის, ქედისა და ხულოს არქივებში** ფოტო დოკუმენტების მიღება 6 თვის გეგმით არ იყო გათვალისწინებული.(იხ. დანართი _ III.7ª ა.გ.დ. პუნქტი).

მიღებული საქმეები შემოწმდა და შედარდა საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დამტკიცებულ აღწერილობით სიებს, შემოწმდა საქმეთა ფიზიკური მდგომარეობა და სათანადო საქმეთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ განთავსდა ფონდსაცავების თაროებზე. მიღებული ფოტოდოკუმენტები დალაგდა თემატურად. თითოეული ფოტო ჩაიწყო კონვერტში, გაიშიფრა და ანოტაცია გაუკეთდა ფოტოზე ასახულ მოვლენებს, რომლებიც შეიცავენ ჩვენი კუთხის ისტორიის ამსახველ მოვლენებს. შემოტანილ მასალებზე შედგა ფოტოანაწერები თემების მიხედვით. ასევე ფოტო ფირებზე აღიბეჭდა საარქივო სამმართველოში გამართული სხვადასვა ღონისძიებები.

8. დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა _ გადათვალიერება.

2022 წლის 6 თვეში სამმართველოს ცენტრალურ არქივსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში დაცული დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუტარდა **პირადი შემადგენლობის** 5 ფონდის სულ 1952 საქმეს _ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2027 საქმისა და გეგმა შესრულდა 96%-ით, მაკულატურაში გამოიყო 554 საქმე, აღწერილობითი სია შედგა 1383 შესანახ საქმეთა ერთეულზე. (№1 ანაწერში გადავიდა 15ს/ე).

აქედან საარქივო **სამმართველოში** ექსპერტიზა ჩაუტარდა 3 ფონდის 1623 საქმეს, ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1350 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 120%-ით, მაკულატურაში გამოიყო 396 საქმე და ფონდში დარჩა 1227 საქმეთა ერთეული.

შუახევის არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა **პირადი შემადგენლობის** 1 ფონდის სულ 300 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 459

საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 65 %-ით, მაკულატურაში გამოიყო 154 საქმე და ანაწერი შედგა 146 შ/ ერთეულზე.

ხულოს არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა 1 ფონდის 29 ს/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 95 საქმისა და გეგმა შესრულდა 30%-ით მაკულატურაში გამოიყო 4 საქმე, ფონდში დარჩა 10 საქმე. (№1 ანაწერში გადავიდა 15ს/ე).

ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის არქივებში საქმეების მიზნობრივი ექსპერტიზა 6 თვის გეგმით არ იყო გათვალისწინებული. (იხ. დანართი III.8.ა,გ. პუნქტი).

9. საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება).

2022 წლის 6 თვეში საარქივო სამმართველოში ჩატარდა მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 1 სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა დაწესებულება-ორგანიზაციის 17 საკითხი, მათ შორის მმართველობითი ხასიათის 4489 საქმე, ხანგრძლივად შესანახი _ 1559 საქმე, ფოტოდოკუმენტი _ 782 ერთეული. აქტის მიხედვით გასანადგურებლად შეირჩა _ 3288 საქმეთა ერთეული. ასევე განხილული იქნა 3 საქმეთა ნომენკლატურა, ინსტრუქციები, დებულებები.

10. საარქივო სამმართველოში მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავება სახელშეკრულებო საწყისებზე არ ხორციელდება, რადგან განყოფილების სპეციალისტები ღებულობენ შტატით გათვალისწინებულ სახელფასო სარგოებს.

2022 წლის 6 თვეში საარქივო სამმართველოს დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების და ტერიტორიული არქივების სპეციალისტების მიერ **მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა** 24 დაწესებულება-ორგანიზაციის 8034 საქმე. მათ შორის მუდმივად შესანახი 583 საქმე, ხანგრძლივად შესანახი 573 საქმე, დროებითად შესანახი 423 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 6455 საქმეთა ერთეული. დაწესებულება-ორგანიზაციის საარქივო დოკუმენტების დამუშავება მიმდინარეობდა გეგმის გათვალისწინებით. ასევე დამუშავების თანამშრომლების მიერ შემუშავდა საქმისწარმოების ნორმატიული დოკუმენტები: სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურები, დებულებები, საქმისწარმოების ინსტრუქციები.(იხილეთ დანართი III.10.ა).

IV _ დოკუმენტების გამოყენება

11. . **შეკითხვების შესრულება**

2022 წლის 6 თვეში შემოვიდა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის სულ 387 შეკითხვა, აქედან დადებითი პასუხი გაეცა 332 შეკითხვას, უარყოფითი 44-ს. მომზადების პროცესშია 8 განცხადება. ბიუჯეტში ჩაირიცხა 13 025 ლარი. ორგანიზაცია- დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 841 მომართვა. აქედან დადებითი პასუხი გაეცა 545 მიმართვას, ხოლო უარყოფითი 296 მომართვას.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემოვიდა 1289 მომართვა. დადებითი პასუხი გაიცა 950 მომართვას, უარყოფითი 339-ს ბიუჯეტში ჩაირიცხა 11 746 ლარი.

მათ შორის **საარქივო სამმართველოში** 2022 წლის 6 თვეში შემოვიდა მოქალაქეთა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის სულ 127 განცხადება, **90 განცხადებაზე** გაიცა დადებითი პასუხი. უარყოფითი პასუხი გაიცა 28 განცხადებაზე.. მომზადების პროცესშია 8 განცხადება. ბიუჯეტში ჩაირიცხა 3575 ლარი. ორგანიზაცია დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 129 **მომართვა**, გაიცა დადებითი პასუხი 67 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 62 -მომართვაზე.

ქობულეთის არქივში მოქალაქეებიდან შემოვიდა სულ 110 **შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 98-ს, უარყოფითი 12-ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა - 4875 ლარი. ორგანიზაცია დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 186 **მომართვა.** დადებითი პასუხი გაიცა 133 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 53 მომართვაზე.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეესტრიდან შემოვიდა 214 მომართვა, დადებითი პასუხი გაეცა 113 მომართვას, უარყოფითი პასუხი 101 მომართვას. ბიუჯეტში ჩაირიცხა 1810 ლარი.

ხელვაჩაურის არქივში შემოვიდა სულ 100 **შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 98 შეკითხვას, უარყოფითი 2 -ს, ორგანიზაცია დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 243 **მომართვა,** გაიცა დადებითი პასუხი 125 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 118 -ზე.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეესტრიდან შემოვიდა 410 მომართვა, დადებითი პასუხი გაეცა 321 მომართვას, უარყოფითი -89 მომართვა. ბიუჯეტში ჩაირიცხა 4100 ლარი.

ქედის არქივში მოქალაქეებიდან შემოვიდა სულ-18 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა 17-ს, უარყოფითი 1 პასუხი. ორგანიზაცია დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 108 **მომართვა.** გაიცა დადებითი პასუხი 74 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 34 მომართვაზე.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეესტრიდან შემოვიდა 126 მომართვა, დადებითი პასუხი გაეცა 91, უარყოფითი 35 მომართვას. ბიუჯეტში ჩაირიცხა 520 ლარი.

შუახევის არქივში შემოვიდა სულ 21 **შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 20 შეკითხვას, უარყოფითი 1-ს. ორგანიზაცია დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 74 **მომართვა.** გაიცა დადებითი პასუხი 59 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 15 -ზე.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეესტრიდან შემოვიდა 33 მომართვა, დადებითი - 28, უარყოფითი -5. ბიუჯეტში ჩაირიცხა 321 ლარი.

ხულოს არქივში შემოვიდა მოქალაქეებიდან სულ 11 **შეკითხვა,** დადებითი პასუხი გაეცა 11 შეკითხვას, უარყოფითი 0 -ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა 365 ლარი. ორგანიზაცია დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 101 **მომართვა** გაიცა დადებითი პასუხი 87 მომართვაზე, უარყოფითი პასუხი გაიცა 14 -ზე.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეესტრიდან შემოვიდა 506 მომართვა, დადებითი პასუხი გაეცა 397 მომართვას, უარყოფითი 109-ს . ბიუჯეტში ჩაირიცხა 4995 ლარი.

12. დოკუმენტების გამოფენის ორგანიზება.

2022 წლის 6 თვეში სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მოეწყო 1 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 გამოფენისა, გეგმა შესრულდა 100 %-ით. აქედან საარქივო სამმართველოში 1 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 გამოფენისა და გეგმა შესრულდა 100 %-ით.

1. საარქივო სამმართველოს სამეცნიერო გამოცემების გამოფენა - არქივისტის დღესთან დაკავშირებით. (2022 წ. 05 მარტი)

ხოლო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს არქივებში 6 თვის გეგმით გათვალისწინებული არ იყო გამოფენის მოწყობა.

13. რადიო და ტელე გადაცემის მომზადება.

2022 წლის 6 თვეში საარქივო სამმართველოში მომზადდა და რადიო-ტელევიზიით გადაიცა 1 გადაცემა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 გადაცემისა.

სატელევიზიო გადაცემები:არქივისტის დღესთან დაკავშირებული გადაცემა (ტვ-25).

14. სტატიების და დოკუმენტების მომზადება (პუბლიკაცია).

2022 წლის 6 თვის მონაცემებით მომზადდა და გამოქვეყნდა 5 სტატია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 სტატიისა: აქედან საარქივო სამმართველოში მომზადდა 4 სტატია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 სტატიისა.

გამოცემები:

1. გამოსაცემად მომზადდა ბუკლეტი ,,აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში".

სამეცნიერო სტატიები:

მომზადებულია სამეცნიერო სტატია

1. თ. ფუტკარაძე ,,წელათი";
2. თ. ფუტკარაძე, გ. პატარიძე, რეცენზია ჯიბლაძის წიგნზე ,,გოგუთი";
3. მ. სურმანიძე - ბათუმის ბერძნულისაქალაქო დაწყებითი სასწავლებელი;
4. ი. ფაცურეშვილი - გახსენება;
5. ნ. ზაქარაძე - ქობულეთის არქივის ანგარიში.

სამმართველოს ვებ გვერდზე სისტემატურად შუქდება სიახლეები და სხვა საინფორმაციო მასალები.

15. არქივში კონფერენციების, ექსკურსიების და გაკვეთილების ჩატარება.

სამმართველოში და მის ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 2022 წლის 6 თვეში ჩატარდა 4 ექსკურსია-გაკვეთილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული, 3 ექსკურსია-გაკვეთილისა და გეგმა შესრულდა 133%-ით.

ჩატარდა სხვა და სხვა ღონისძიებები:

2022 წლის 6 თვის მონაცემებით ჩატარდა 3 ღონისძიება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 ღონისძიებისა და გეგმა შესრულდა 100%-ით.

ჩატარდა:

1. **არქივისტის პროფესიული დღესასწაული (28 თებერვალი, 2022);**
2. **დედის დღე - 2022წ.2 მარტი;**
3. **ქალთა დღე - 2022წლის 9 მარტი.**

16. სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის ორგანიზება.

სამკითხველო დარბაზი 2022 წლის 6 თვეში მოემსახურა 19 მკვლევარს, რომელთა მომსახურეობის მიზნით მომზადდა, შეირჩა და მათ მიერ გამოყენებული იყო 379 საქმეთა ერთეული, მკვლევარები მუშაობდნენ თემაზე:

1)"აჭარის ისტორიის საკითხები 1878-1904 წწ";
2)"აჭარის ისტორიის ნარკვევები 19 20 სს წწ";
3) 1900 -1903 საეკლ;ესიო ჩანაწერები;
4)ბრიტანელების მოღვაწეობა ბათუმში 1918-1938წწ;
5) საარქივო მასალები გვარების შესახებ. 1920-1980 წწ;
6) ,,აჭარის მუზეუმი 1914-1922 წწ" ;
7)ღვინის ქარხანა ;
8)„ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში";
9) ,,აჭარის რეგიონის ეკომიგრანტების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პრობლემები ადგილობრივ თემებში: გამოწვევები და გადაჭრის გზები გურიის მაგალითზე".

17. ჟურნალ ,,არხეიონის გამოცემა.

გამოიცა ჟურნალ ,,არხეიონის~ _ XXIIნომერი.

18. თემატური ნუსხების მომზადება

2022 წლის 6 თვეში მომზადდა თემატური ნუსხა არ მომზადებულა:

19. თემატურ მომართვებზე პასუხის მომზადება-გაცემა:

2022 წლის 6 თვეში არ შემოსულა თემატურ მომართვა.

20. დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანა.

საარქივო სამმართველოში შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილების მიერ, რომელიც ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანის უზრუნველყოფით არის დაკავებული 2022 წლის 6 თვის მონაცემებით შესრულდა 18 ფონდის: სულ გაციფრა **დასკანირდა 1.011152** გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.150 000 გვერდისა და გეგმა შესრულდა 87%-ით.

დარედაქტირდა 745 308 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.150 000 გვერდისა და გეგმა შესრულდა 64%-ით.

21. საარქივო სამმართველოს იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის 6 თვეში მომზადდა სხვადასხვა სახის სამართლებრივი აქტების : დადგენილების, ბრძანებების, ცნობების და სხვა სახის ხელშეკრულების პროექტები. რეზოლუციის შესაბამისად შესრულდა წერილობითი პასუხები - განცხადებებსა და მომართვებზე.

იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული და განხილული იქნა საარქივო სამმართველოს და ტერიტორიულ ორგანოს არქივების საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობანი. განახლდა შეფასების წესი.

სამსახური ახორციელებდა შესაბამის პროცესებში ჩართულობას და დადგენილი წესის შესაბამისად, აწვდიდა ინფორმაციას შესაფასებელ მოხელეს - შეფასების მიმდინარეობის შესახებ. ზემდგომ ორგანოებს მიეწოდათ ინფორმაცია საარქივო სამმართველოში სტაჟირების კვოტასთან დაკავშირებით.

სამსახური ახდენს პირადი საქმეების შედგენას, წარმოებას და შესაბამისი ცვლილებების ასახვას. ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (HR -პროგრამაში).

სისტემატიურად მიმდინარეობს შესაბამისი ინფორმაციის (საკადრო ბრძანებები, ცვლილებები, ანგარიშები და სხვა ინფორმაცია) ასახვა.

პროფესიულ საჯარო მოხელეთა წლიური (საბოლაო) შეფასების საფუძველზე გატარდა რიგი სამართლებრივი ღონისძიებები: კერძოდ: 43 პროფესიულ საჯარო მოხელეს მიენიჭა კლასი და მომზადდა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები.

ადამიანუი რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემასი ხდება, შესაბამისი ინფორმაციის სისტემატიური ასახვა, რათა უფლებამოსილ პირებს დაინტერესების შემთხვევაში ჰქონდეს საშუალება მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია.

საარქივო სამმართველომ მონაწილეობა მიიღო „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ განხორციელებაში, კერძოდ სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ მითითებულს ელექტრონულ გვერდზე, სამსახურის მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა ინფორმაცია 16 ვაკანსიაზე, აქედან ხელშეკრულება გაუფორმდა და დასაქმდა სოცილურიად დაუცველი 9 ფიზიკური პირი.

22. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

საარქივო დარგის სრულყოფისათვის, საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით, 2022 წლის 6 თვეში განხორციელდა 167 755 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, რაც წლიური გეგმის 69% -ს შეადგენს.

გამოცხადდა 2 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 43 700 ლარის ღირებულებით. გაფორმდა ხელშეკრულებები: დაცვის, ინტერნეტ მომსახურეობის, კომპიუტერული მოწყობილობის, საკანცელარიო საქონლის, სერვისების შესყიდვასთან დაკავშირებით და სხვა. თანხობრივმა ჯამმა შეადგინა 38 100 ლარი. ჩატარებული ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 5 600 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის 8 ხელშეკრულება, თანხით 11 023 ლარზე. შესყიდული იქნა ბენზინისა და დიზელის საწვავი, პირბადეები, ავტოდაზღვევა, მობილური საკომუნიკაციო მომსახურეობა, საბეჭდი ქაღალდები, საბურავები, კვების უწყვეტი წყარო და სხვა.

გაფორმდა 118 632 ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. შესყიდული იქნა: სატელეკომუნიკაციო მომსახურება, პროგრამა ,,კოდექსის" ინსტალაცია, გამანათებელი მოწყობილობები, ელექტრო, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელი. საბუღალტრო შესყიდვების პროგრამული მომსახურეობა ტრანსპორტის ტექნიკური, აუდიტორული, დაცვის მომსახურეობა, ავტომანქანის პარკირება, სატრენინგო , ,,არხეიონი"-ს ბეჭდვის მომსახურეობა და სხვა.

საარქივო სამმართველოს 2022 წლის 6 თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 935 759 ლარი. დახარჯულია 918 967ლარი. გაუხარჯავი დარჩა 16 792 ლარი. ასევე დიგიტალიზაციისათვის 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული იყო 156 815 ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 132 180 ლარი და გაუხარჯავი დარჩა 24 635 ლარი.

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი

2022 წ. ივლისი